ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97260784**
თარიღი:**19/03/2026**

ლენტეხის მუციპალიტეტში არსებულ უსახურ შენობებთან დაკავშირებით ღონისძიებების გატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის , ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისვრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნის გათვალისწინებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი1. ცნობად იქნეს მიღებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში - ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებულ უსახურ შენობებთან დაკავშირებით 2025 წელს გატარებულ ღონისძიებებზე და ამ მიმართულებით მიმდინარე წელს დაგეგმილ სამუშაოებზე.

მუხლი2. მერიამ უზრუნველყოს:

1. მუნიციპალიტეტის მაშტაბით ყველა უსახური, ამორტიზირებული და ავარიული შენობის აღრიცხვა;

2. სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ, ავარიულ შენობებთან დაკავშირებით დამატებით, კიდევ ერთხელ გააფრთხილოს - კერძო მესაკუთრეები, რომ ამორტიზირებული, ავარიული შენობები შემჭიდროვებულ ვადებში შემოღობონ მყარი (თუნუქის ან ხის) მასალით, ან მოახდინონ შენობის დემონტაჟი.

მუხლი 3. განკარგულება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში. (მისამართი: დ. აღმაშენებლის N-7).

მუხლი 4. განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი